ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2342126

ნომერი: AR1362608

თარიღი : 08.12.2015

გაცემის თარიღი : 24.12.2015

გაცნობის თარიღი : 24.12.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კუს ტბის ტერიტორია. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იანა შატბერაშვილი პ/ნ 35001120330
- რუსთავი პ.თოდრიას I ჩიხი კორ. 3 ბ. 45

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- კულტურის და დასვენების ობიექტები
  - კლუბი-დისკოთეკა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

2015 წლის 08 დეკემბერს #AR1362608 განცხადებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მომართა მოქალაქე იანა შატბერაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, კუს ტბის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.14.13.013.001) კლუბი–დისკოთეკის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

ვინაიდან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 2–ში (რზ–2), სადაც მოთხოვნილი ფუნქციის ობიექტის განთავსება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური (ზონალური) ნებართვის საფუძველზე, სამსახურმა სპეციალური (ზონალური) ნებართვის მინიჭების საკითხი წარადგინა ქ. თბილისის ტერიტორიების

გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომაზე განსახილველად, «ზონალური» საბჭოს გადაწყვეტილებით უარი ეთქვა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე კლუბი–დისკოთეკის განთავსების მიზნით სპეციალური (ზონალური) ნებართვისა და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემაზე. “ზონალური საბჭოს” 2015 წლის 10 დეკემბრის სხდომის ოქმი #57–ის რეკომენდაციის და სამსახურის გადაწყვეტილების შესაბამისად,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქალაქე იანა შატბერაშვილს ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, კუს ტბის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.14.13.013.001) კლუბი–დისკოთეკის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.